დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 დეკემბრის N69 დადგენილებით

ზსსუ სამეცნიერო შრომების კრებული „კრებსი“ დებულება

მუხლი. 1 ზოგადი დებულებები

1.სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული - „კრებსი“ (შემდგომში კრებული) გამოდის ყოველწლიურად და წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის ძირითად ბეჭდვით ორგანოს, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური დისკურსის გაღრმავებას და კვლევის ხელშწყობას.

2.კრებული გამოდის წელიწადში ერთხელ. (გამონაკლის შემთხვევაში (პანდემია, სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები) ორი წლის ბეჭდვითი მასალა შეიძლება გამოიცეს ერთი გამოცემის სახით)

3.კრებულის სახელწოდებაა „კრებსი“, ინგლისურ ენაზე Collection of Academic Papers KREBSI

4.კრებულს აქვს სტანდარტული სერიული ნომერი პერიოდული გამოცემებისთვის.

5.კრებული გამოიცემა წელიწადში ერთხელ ქართულ ენაზე, ყოველ სტატიას ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

მუხლი 2. შრომების კრებულის მისია, მიზნები

 კრებულის მისიაა მეცნიერების სხვადასხვა დარგისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.

1. კრებული წარმოადგენს პლატფორმას მკვლევრებისთვის, რომლებიც მუშაობენ მეცნიერებების სხვადასხვა დარგში: სამართალი, ეკონომიკა, ბიზნესი, გამოყენებითი სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულების კვლევები, განათლება, ფსიქოლოგია, პოლიტიკის მეცნიერებები, ჯანდაცვა და მმართველობა.

2. კრებული წარმოადგენს ღიად ხელმისაწვდომ გამოცემას, რაც ნიშნავს, რომ მისი შინაარსი სრულად ხელმისაწვდომია მომხმარებლებისათვის ყოველგვარი დამატებითი გადასახადის ან რეგისტრაციის გარეშე.

3. კრებული აღიარებს და ითვალისწინებს საერთაშორისო საგამომცემლო პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას. იგი იზიარებს საერთაშორისოდ აღიარებულ ისეთ ღირებულებებსა და გამოცდილებებს, როგორიცაა ბუდაპეშტის ღია ხელმისაწვდომობის ინიციატივის (BOAI) სახელმძღვანელო პრინციპები და გამოცემების ეთიკის კომიტეტის (COPE) მთავარი პრაქტიკა.

2. კრებულის მიზნებია:

ა) მეცნიერების სხვადასხვა დარგში მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების წარმოჩენა, ეროვნული და სამეცნიერო და დაინტერესებული საზოგადოებისთვის გაცნობა, ამასთანავე, აღნიშნული კვლევების საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) საქართველოში ისეთ კვლევებზე მუშაობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას;

გ) აქტიური სამეცნიერო - კვლევითი კლიმატის შექმნა;

ამ მიზნით კრებულში შესაძლებელია განთავსდეს სხვა სასწავლო, სამეცნიერო და აკადემიური დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომები, თუ მათი დაბეჭდვის მიზანშეწონილობა არგუმენტირებულად იქნება დასაბუთებული შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის მიერ. უნივერსიტეტის სამეცნიერო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობის მიზნით კრებულში შესაძლებელია დაიბეჭდოს:

ა). სტუდენტთა (ბაკალავრებისა და მაგისტრების) საუკეთესო სტუდენტური ნაშრომები;

ბ). უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან (პროფესორთან) ერთობლივი კვლევით შესრულებული სტუდენტური ნაშრომი.

მუხლი 3. შრომების კრებულის განვითარებისთვის მთავარი ამოცანებია:

ა) ავტორიტეტულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში რეგისტრაციის გზით მაღალრეიტინგულ საერთაშორიო სამეცნიერო გამოცემათა შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრება და მაღალი სამეცნიერო სტატუსის მოპოვება;

ბ) კრებულის პოპულარიზაცია;

გ) თანამშრომლობის მიზნით ქართველი და უცხოელი ავტორების მოზიდვა;

დ) ინტერდისციპლინარული კვლევების ხელშეწყობა;

ე) აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა და გამოცდილი მეცნიერ-მკვლევრების საკომუნიკაციო სივრცის არსებობისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 4. შრომების კრებულის მართვა

1.შრომების კრებულის საქმიანობას ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო სამსახური;

2.სამეცნიერო სამსახური კრებულის გამოსაცემ ვარიანტს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც ამტკიცებს შრომათა კრებულს გამოსაცემად.

3.შრომების კრებულის მართვის ორგანოა სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო და იგი პასუხისმგებელია კრებულის აკადემიურ ხარისხსა და შინაარსზე;

4.კრებულის ფორმატსა და სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.

5.შრომების კრებული იბეჭდება 100 ეგზემპლარი ტირაჟით.

6.უნივერსიტეტის გრიფით გამოცემული ბეჭდვითი პროდუქცია ჩაბარდება და აღირიცხება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ.

7.უნივერსიტეტის კრებული გაეგზავნება:

ა) საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბილიოთეკას (2 სავალდებულო ეგზემპლარის სახით);

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლოთეკას 4 ც;

გ) ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს (შერჩევით);

დ) უნივერსიტეტის სტუმრებს, ინდივიდუალურ პირებს, წარჩინებულ სტუდენტებს;

ე) ნაშრომში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს 1ც.

8. კრებული იმართება ამ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, კრებულის დებულებით დადგენილი ძირითადი პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 5. კრებულის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

1. კრებულის სამეცნიერო- სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრით.

2. კრებულის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეა უნივერსიტეტის რექტორი;

3. კრებულის ფორმატსა და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

4. სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს წევრები არიან: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, სხვადასხვა დარგის მიმართულების ხელმძღვანელები და ასოცირებული პროფესორები;

5. შრომების კრებულის სამეცნიერო- სარედაქციო საბჭო უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს შრომების კრებულის სარედაქციო პოლიტიკა;

ბ) დაადგინოს სტატიების აკადემიური სტანდარტები;

გ) შეარჩიოს გამოცემისათვის ერთი ან რამდენიმე თემა;

დ) დაადგინოს კრებულისთვის სტატიების შერჩევის კრიტერიუმები;

ე) განსაზღვროს კრებულის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

6. სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ მაინც, დასაშვებია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საბჭოს წევრების ჩართვა შეკრებაში;

7. სამეცნიერო- სარედაქციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით;

8. სამეცნიერო- სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში რექტორის მიერ შეიძლება დაინიშნონ საპატიო წევრები.

მუხლი 6. დარგობრივი მიმართულებები

1. კრებულში გამოსაქვეყნებელი სტატიების შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი მიმართულება.

2. დარგობრივი მიმართულების წევრი/წევრები შეიძლება იყოს/შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი/პროფესორები შესაბამისი მიმართულებით.

3. დარგობრივი მიმართულება სტატიების შესახებ კონსულტაციას უწევს სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს.

4. კრებულში სტატიის გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი დარგობრივი მიმართულება, კენჭისყრის საფუძველზე. სტატიის გამოქვეყნებას მხარს უნდა უჭერდეს მინიმუმ 2 შემფასებელი. ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში მოწვეული იქნება გარე შემფასებელი.

5. კრებულის შინაარსობრივი დარგობრივი მიმართულებებია - სამართალი, ეკონომიკა, ადმინისტრირება/მართვა, ფსიქოლოგია, ჰუმანიტარული მეცნიერებები, პოლიტიკის მეცნიერებები, ჯანდაცვა, პედაგოგიკა.

მუხლი 7. რედაქტორი

1. შრომების კრებულს ჰყავს რედაქტორი.

2. კრებულის რედაქტორი ახორციელებს ტექნიკურ-სარედაქციო საქმიანობას: რედაქტორის ფუნქციაა ყველა იმ საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხის მოგვარება, რომელიც აუცილებელია კრებულის საქმიანობის განსახორციელებლად.

ა) უზრუნველყოფს სამეცნიერო- სარედაქციო საბჭოს სხდომების გამართვას;

ბ) ორგანიზებას უწევს სტატიების მიღების პროცედურებს;

გ) უზრუნველყოფს ნაშრომების ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმებას;

დ) უზრუნველყოფს ავტორებთან, დარგობრივ მიმართულებასთან ან რეცენზენტებთან კომუნიკაციას;

ე) ახორციელებს ნაშრომების ტექნიკურ რედაქტირებას;

ვ) უზრუნველყოფს კომუნიკაციას ეროვნულ და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან, ჟურნალის მონაცემთა ბაზების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

მუხლი 8. შრომათა კრებულში განთავსებული სტატიების საავტორო უფლებები

1. ნაშრომზე არაქონებრივი საავტორო უფლებები რჩება ნაშრომის ავტორს;

2. კრებულში გამოქვეყნებულ სტატიებზე ავტორები ჟურნალს გადასცემენ განსაკუთრებულ (ექსკლუზიურ) ლიცენზიას, რაც აგრეთვე მოიცავს ბეჭდური და ელექტრონული სახით გამოყენებას, თარგმნას, ვიზუალურ დამუშავებას. ავტორებს რჩებათ უფლება, გადაამუშავონ და რეპროდუცირება გაუკეთონ საკუთარ ნამუშევრებს, იმ პირობით, რომ ჟურნალი, როგორც პირველადი გამოცემის წყარო იქნება მითითებული.

მუხლი 9. შრომათა კრებულის სარედაქციო პოლიტიკა

1. შრომათა კრებულის ინდივიდუალური გამოცემა შეიძლება იყოს როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული თემატიკის შესახებ. აგრეთვე, დასაშვებია ჟურნალის სპეციალური გამოშვებების მომზადება სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით.

2. შრომათა კრებული წარმოადგენს ღიად ხელმისაწვდომ გამოცემას, რაც ნიშნავს, რომ მისი შინაარსი სრულად ხელმისაწვდომია მომხმარებლებისათვის ყოველგვარი დამატებითი გადასახადის ან რეგისტრაციის გარეშე.

მუხლი 10. კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომების მიღებისა და შერჩევის წესი

1. უნივერსიტეტში გამოსაქვეყნებლად ნაშრომების შერჩევა ხდება:

ა) ღია კონკურსით (call for papers);

ბ) გამოსაქვეყნებელი ნაშრომი მიიღება ელ.ფოსტაზე: zssu.@edu.ge

მუხლი 11. ნაშრომისთვის დადგენილი მოთხოვნები

1. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს Word - ის ფორმატში.

2. ნაშრომის შესრულებისას გამოიყენება sylfaen-ის ფონტი, შრიფტის ზომა - 11 და დაშორება - 1.5.

3. ანოტაცია: მოიცავს მოკლე ინფორმაციას (100-200 სიტყვა) სტატიის შინაარსის შესახებ (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
4. საკვანძო სიტყვები (Key words): 4-6 სიტყვა, რომელიც არ იმეორებს სათაურს და მაქსიმალურად ასახავს ნაშრომის შინაარსს.
5. შესავალი: მოიცავს ნაშრომის აქტუალობას (არ ინომრება).
6. მთავარი ტექსტი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას, ნაშრომის შინაარსსა და შუალედურ შედეგებს; სტატიის სათაურები წარმოდგენილი უნდა იყოს გამუქებული ფონტით ან/და დახრილი შრიფტით, გამოყოფილი Headings სისტემით, ერთმანეთისგან განსხვავებული ფონტით. თითოეულ სათაურს უნდა ჰქონდეს მინიჭებული შესაბამისი დონე შემდეგი წესით:
1. სათაური
1.1. ქვესათაური
1.1.1. ქვესათაური
1.2. ქვესათაური
2. სათაური
2.1. ქვესათაური
2.2.1. ქვესათაური და ა.შ.
7. აბზაცის ყველა ხაზი უნდა იყოს თანაბრად დაშორებული მარჯვენა ველიდან. აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით.
8. სქოლიოს, ისევე როგორც მთლიანი ნაშრომის შესრულების დროს ვიყენებთ sylfaen-ს, შრიფტის ზომა-9.
9. დასკვნა: მოიცავს მიგნებებს, შესაძლო რეკომენდაციებსა და სამომავლო პერსპექტივებს. აბსტრაქტი, შესავალი და დასკვნა არ ინომრება. ინომრება მხოლოდ ტექსტის ძირითადი ნაწილი.
10. ბიბლიოგრაფია მიეთითება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მუხლი 12. წყაროების მითითების სტანდარტები

1. ნაშრომში სათანადოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი წყაროები.
2. მითითებული წყაროები და ლიტერატურა არ ინომრება, არ უკეთდება ბულეტები. ლაგდება ანბანის რიგზე ავტორის გვარის მიხედვით. მითითებული წყაროს სათაური კეთდება დახრილი შრიფტით უბრჭყალებოდ. (იხილეთ გზამკვლევი)
ტექსტში ჩართული წყაროს მითითებისას (ე.წ. მოკლე დამოწმება) კონკრეტულ ადგილზე მრგვალ ფრჩხილებში ეთითება მხოლოდ ავტორის გვარი, წყაროს გამოცემის წელი და გვერდი, რომლიდანაც ციტატაა მოყვანილი.
მაგალითად:
ტექსტში:
ის აცხადებს, რომ „…“ (კუბლაშვილი 2017: 25)
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში/ ბიბლიოგრაფიაში აღინიშნება ყველა წყარო სრული ფორმით. ბიბლიოგრაფიის თითოეული მუხლი მოიცავს სრულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას წყაროს შესახებ, რადგანაც ეს ინფორმაცია არ არის მოცემული ტექსტში

ჩართულ მითითებაში. ბიბლიოგრაფია, ჩვეულებრივ, მოიცავს ნებისმიერ წყაროს, რომელიც აღნიშნულია ფრჩხილებში ჩასმულ მითითებებში და სხვა წყაროებსაც.
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის ყველა ერთეულს ერთი და იგივე ზოგადი ფორმა აქვს:
მაგალითად:
ბიბლიოგრაფიაში:
ჩიქობავა, არნოლდ. 1965. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია: სახელმძღვანელო ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თბილისი: განათლება.
Johns, Adrian. 1998. The Nature of The book: Print and Knowledge in Making. Chicago: Univ. of Chicago Press
კუბლაშვილი, კონსტანტინე. 2017. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: იურიდიული სახელმძღვანელო. თბილისი: ფაუნტან ჯორჯია.
3. ქართულ ენაზე წარმოდგენილი ნაშრომების რეკომენდებული წყაროს მითითების წესებია:
წიგნის პირველად მითითება:
ა) ერთი ან ორი ავტორის შემთხვევაში - ავტორ(ებ)ი, წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი;
მაგალითად: თ. ჰობსი, „ლევიათანი“, მერიდიანის გამომცემლობა, 1985. გვ. 268.
ბ) რამდენიმე ავტორის შემთხვევაში - პირველი ავტორი „და სხვა“ მითითებით (ავტორთა კოლექტივის შემთხვევაში: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორის სახელი), წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი. მაგალითად: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ა. დემეტრაშვილი, „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ჰოლივუდი“, 2005. გვ. 305.
5. წიგნის ყოველი შემდგომი მითითება - ავტორის გვარი, იხ. შესაბამისი პირველადი მითითების სქოლიოს ნომერი, გვერდი, ან პარაგრაფი.
მაგალითად: ჰობსი, იხ. სქოლიო 15, გვერდი 88.
6. სტატია წიგნში: სტატიის ავტორი, სტატიის სახელწოდება, წიგნში - წიგნის მითითების წესით.
მაგალითად: ფ. როუზი, „სახეობათა ევოლუცია“ წიგნში ე. ბუროუზი და ა. როჯერი (რედაქტორები), „სამართლის განსაზღვრა: ესეები პიტერ ბირკსის ხსოვნის საპატივცემულოდ“. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2006.
7. პერიოდული გამოცემის სტატიის მითითება - სტატიის ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გამოცემის ნომერი და გამოცემის სახელწოდება ბრჭყალებში, წელი, გვერდი ან/და პარაგრაფი. შემდგომი მითითების წესი წიგნის შემდგომი მითითების წესის ანალოგიურად.
მაგალითად:
გ. კვარაცხელია, „გაუქმებულ ან ძალადაკარგულად გამოცხადებულ სადავო აქტზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება“, 10 „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016. გვ-გვ. 45-47.

8. საგაზეთო სტატიის მითითება - ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გაზეთის სათაური დახრილი ფორმატით, თარიღი, გვერდები. მაგალითად: თ. პარდოა- შიოპა, "Il carattere dell' Europa", Carriere della Serra, 2004 წლის 22 ივნისი, გვ. 1.

9. ინტერნეტ წყაროების (ბლოგები, ვებ-გვერდები) მითითება - საგაზეთო სტატიის წესის ანალოგიურად, ვებ-გვერდისა და უკანასკნელი გადამოწმების თარიღის კვადრატულ ფრჩხილებში მითითებით.

მაგალითად: მ. კლაასენი, "The best interests of the child in deportation cases: An analysis of Ejimson v. Germany" Strasbourg Observers Blog, 2018 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია აქ: www.strasbourgobservers.com/2018/03/30/the-best-interests-of-the-child-in-deportation-cases-an-analysis-of-ejimson-v-germany/ [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 17 აპრილს].

10. კანონმდებლობის მითითება - მუხლის ნომერი, აქტის დასახელება, მიღების თარიღი.

მაგალითად: მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ". 31 იანვარი, 1996;

მუხლი 19, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 1950.

11. სასამართლო პრაქტიკის მითითება - სასამართლოს დასახელება, შესაძლებლობის შემთხვევაში, სასამართლოს აქტის ტიპი, საქმის, ან განაცხადის ნომერი, მხარეების დასახელება ბრჭყალებში, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, შესაბამისი გვერდი, ან პარაგრაფი.

მაგალითად: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/477 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2011 წლის 22 დეკემბერი. პარაგრაფი 80.

მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N9815/82 „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ", 1986 წლის 8 ივნისი. პარაგრაფები 41-42.

12. ციტატის მითითების წესები განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) ტექსტში ან სქოლიოში მოცემული ციტატა უნდა განთავსდეს ორმაგ ბრჭყალებში: ბრჭყალი უნდა იყოს დაბალი („), ციტატის დასრულების შემდეგ - მაღალი (").

ბ) თუ ავტორი ციტირებული ტექსტიდან შლის რაიმე ნაწილს, წაშლილ ადგილას კვადრატულ ფრჩხილებში იწერება სამწერტილი: „ააა [...] ააა".

13. ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. უნდა ეწეროს - ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi;

14. ფორმულები უნდა აიკრიფოს Microsoftequation 3.0;

15. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიაში მიეთითება ყველა ის წყარო, რომელიც გამოყენებული იქნა სტატიაზე მუშაობისას. ბიბლიოგრაფიის მითითების გამოიყენება შემდეგი შემდეგი წესი: ავტორის სახელი (სრულად), გვარი, წიგნის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და თარიღი. რამდენიმე ავტორის შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიაში მიეთითება ყველა ავტორის სახელი და გვარი.

მუხლი 13. ნაშრომის გამოქვეყნების საკითხის გადაწყვეტა

1. თუ ნაშრომს აქვს ტექნიკური ხარვეზები და არ შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილ სტანდარტს, ამის შესახებ ეცნობება ავტორს და ეძლევა მას გონივრული ვადა (თუმცა არაუმეტეს 7 დღისა) ხარვეზების გამოსასწორებლად.

2. მიღებული ნაშრომები გადის ანტიპლაგიატის პროგრამულ ტესტს. თუ ნაშრომი არ

აკმაყოფილებს აღნიშნულ ტესტს და აღმოჩნდა, რომ დარღვეულია აკადემიური ეთიკის წესები, რეაგირება მოხდება ამ დებულების მე-14 მუხლის მიხედვით.
3. გარე რეცენზირების დროს პროცესი არის დახურული (blind). გარე რეცენზირებას ექვემდებარება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კრებულში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატიები. გარე რეცენზირების ადრესატს (სხვა სამეცნიერო-კვლევითი თუ სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელს) შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინებით სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელი უგზავნის სარეცენზიო პუბლიკაციის ტექსტს შეფასების ფორმით ავტორის მითითების გარეშე. ავტორი ვალდებულია გაითვალისწინოს მითითებული რეკომენდაციები და 10 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს გამოსაქვეყნებელი სტატია სამეცნიერო სამსახურს.
8.გარე რეცენზენტთან გაწეული მომსახურების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ უნივერსიტეტი აფორმებს შრომით ხელშკრულებას.
9. ნაშრომების შერჩევას, შესაბამისი დარგობრივი მიმართულების განხილვის შემდეგ, ახდენს სარედაქციო კოლეგია.
10. შერჩეული ნაშრომების ავტორებს კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 14. სტატიის შინაარსობრივი სტანდარტები

1. ყველა ნაშრომი, რომელიც წარედგინება სარედაქციო კოლეგიის, უნდა იყოს ორიგინალი ან მითითებული უნდა იყოს მისი პირვანდელი გამოქვეყნების დრო და ადგილი, აგრეთვე, დადასტურებული უნდა იყოს ავტორის უფლება, ხელახალი ან განახლებული რედაქციით გამოქვეყნების თაობაზე; აღნიშნულის ნაშრომის მნიშვნელობიდან გამომდინარე გადაწყვეტილებას ყოველი კონკრეტული სტატიის შესახებ იღებს სარედაციო კოლეგია.
2. შრომათა კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა იყოს აქტუალურ, პრობლემურ ან მნიშვნელოვან საკითხზე ფოკუსირებული;
3. ნაშრომი მიზნად უნდა ისახავდეს დარგში არსებულ დისკუსიაში ჩართვას ან ახალი დისკუსიის წამოწყებას, მასში უნდა იყოს მოცემული მყარი არგუმენტები, დასაბუთებული მოსაზრებები და ავტორისეული დასკვნები;
4. ნაშრომში კვლევის მეთოდოგოლიის არსებობის შემთხვევაში, იგი სრულად უნდა იყოს დაცული.

მუხლი 15. ეთიკის საკითხები და დარღვევებზე რეაგირება

1. შრომების კრებული აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური და სამეცნიერო ეთიკის წესებს.
2. შრომების კრებული უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას რედაქტირების პროცესში.
3. ავტორებს მოეთხოვებათ, დაიცვან ეთიკის წესები, რაც გულისხმობს ავტორის/ავტორების სათანადო მითითებას, წყაროების სწორ გამოყენებას, ფალსიფიკაციის და ფაბრიკაციის გამორიცხვას, ნაშრომის შემუშავებაში მონაწილე პირთა სათანადო მითითებას, პერსონალური მონაცემების პატივისცემას და სხვა საკითხებს;
4. სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო მიესალმება და წაახალისებს გამოქვეყნებული ნაშრომების განხილვასა და კრიტიკას აკადემიურ თუ სოციალურ სივრცეში.

5. სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებულ ნაშრომში/ნაშრომებში აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მიმართოს ჟურნალის რედაქციას ელ-ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: zssu.edu.ge და მოითხოვოს საკითხის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

6. სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო ვალდებულია, ყველა ასეთი განაცხადი განიხილოს გონივრულ ვადაში და დასაბუთებული პასუხი აცნობოს განმცხადებელს. განაცხადის თაობაზე ავტორს/ავტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი განმარტება წარმოადგინონ. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას რეაგირების შესახებ.

7. სამეცნიერო სარედაქციო საბჭო უფლებამოსილია, გამოიყენოს ნაშრომის უკან გამოხმობის ცვლილების განხორციელება. აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს სარედაქციო კოლეგია. გამოცემის მომდევნო ნომერში უნდა აისახოს შესაბამისი გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთებით.

8. სტატიის ავტორს შეიძლება უარი ეთქვა სტატიის გამოქვეყნებაზე:

ა. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის გამო

ბ. რეცენზენტების მიერ შენარსობრივი სტანდარტის შეფასების გამო

გ. თუ ავტორის მიერ გამოგზავნილი სტატია არის ტექნიკურად გაუმართავი და ავტორს გონივრულ ვადაში არ/ვერ მოყავს ის ჟურნალის სტანდარტთან შესაბამისობაში.

9. უარის შემთხვევაში, ავტორს შეუძლია არგუმენტირებული საჩივრით მიმართოს სარედაქციო კოლეგიას და მოითხოვოს საკითხის ხელმეორედ განხილვა.

10. სამეცნიერო- სარედაქციო საბჭო ვალდებულია ხელმეორედ განიხილოს საკითხი, ავტორის დასწრებით ან მის გარეშე. ხელმეორედ უყაროს კენჭი მის გამოქვეყნებას და აცნობოს აღნიშნულის შესახებ ავტორს.

მუხლი 16. პლაგიატის აკრძალვა

1. დაუშვებელია შრომების კრებულში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებში პლაგიატი. ავტორმა/ავტორებმა უნდა უზრუნველყოს/უზრუნველყონ ნაშრომში მოცემული ინფორმაციის წყაროს ზუსტი და სწორი მითითება;

2. სამეცნიერო კრებულში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ყველა ნაშრომი მოწმდება პლაგიატის სპეციალურ პროგრამაში Turnitin.

3. პროგრამის მიერ აღმოჩენილი დამთხვევები ინდივიდუალურად ფასდება რედაქტორის მიერ და ხდება მისი სისწორის დადგენა;

4. როგორც წესი, ნაშრომის ორიგინალი ტექსტი უნდა შეადგენდეს სტატიის მინიმუმ 70 პროცენტს. სტატიის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ტექსტში იყოს მეტი ციტირება.

5. პროგრამის მიერ დამთხვევის დადგენის შემთხვევაში, ავტორს ეცნობება პლაგიატის აღმოჩენის შესახებ და მოეთხოვება განმარტებისა და შესწორების წარმოდგენა.

6. თუ ავტორი უარს ამბობს განმარტებაზე, ნაშრომი არ განიხილება გამოსაქვეყნებლად. თუ ავტორის განმარტება მიუთითებს გულწრფელ შეცდომაზე, ან დამთხვევის მიზეზი მკვლევრის გამოუცდელობაა, სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილია, ავტორს

განუსაზღვროს გონივრული ვადა, არაუმეტეს 5 ხუთი სამუშაო დღისა, შეცდომის გამოსასწორებლად.

7. რედაქტორის მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ნაშრომი არ გამოქვეყნდება ჟურნალში. განმარტების ან/და ცვლილების მოთხოვნაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის შემთხვევაში, რედაქტორი იტოვებს ამ ავტორის/ავტორების მიერ მომავალში წარდგენილი ნაშრომების გამოქვეყნებაზე უარის თქმის უფლებას;

8. გამოქვეყნებულ ნაშრომში მესამე პირის მიერ პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, აღმომჩენი უფლებამოსილია, მიმართოს სამეცნიერო კრებულის რედაქტორს ელ-ფოსტის საშუალებით მისამართზე: zssu@edu.ge და მოითხოვოს ფაქტის გამოკვლევა, აგრეთვე, პლაგიატის პროგრამიდან ამონაწერი დამთხვევების შესახებ. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, კრებულის მომდევნო გამოცემაში განთავსდება პლაგიატის შესახებ ინფორმაცია და რედაქტორი იტოვებს პლაგიატი ავტორის/ავტორების მიერ მომავალში წარდგენილი ნაშრომების გამოქვეყნებაზე უარის თქმის უფლებას.

9.დასაბეჭდად რეკომენდებული ნაშრომი დაიბეჭდება სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიფითა და ლოგოთი.სტატიათა მიღების შემდეგ, 2 კვირის ვადაში ხდება მათი შემოწმება ანტიპლაგიატის სისტემაში. პლაგიატის პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, ავტორებს ეძლევათ 1 კვირიანი ვადა, გაასწორონ სტატიები შესაბამისი მითითებების მიხედვით.

10. ნაშრომები იგზავნება რეცენზირებისათვის. აღნიშნული პროცედურა მთლიანობაში საჭიროებს 2 კვირიან ვადას.რეცენზირების უარყოფითი შედეგების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ეცნობება ავტორს. რეცენზირების დადებითი შედეგის შემთხვევაში, ნაშრომი ექვემდებარება ტექნიკურ რედაქტირებას. აღნიშნული პროცედურა გრძელდება 2-დან 4 კვირამდე.

მუხლი 17. სტატიების გამოქვეყნების ღირებულება

1. კრებულში სტატიის გამოსაქვეყნებლად ავტორებს არ მოეთხოვებათ რაიმე სახის საფასურის გადახდა

2. უნივერსიტეტის შრომათა კრებულისა და აკადემიური პერსონალის მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი სხვა სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციის დაბეჭდვა და გამოცემა მთლიანად ხორციელდება უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან.

3. აკადემიური საბჭოს შუამდგომლობით წარმომადგენლობითმა საბჭომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის პროფესორის მიერ დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის სხვა წყაროებით (სპონსორები, თანადაფინანსება) დაფინანსების შესახებ.

მუხლი 18. ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

წინამდებარე დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.